**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893



## „კვალი“

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

(დამატება „ჯეჯილისა“)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის.

მუდმივნი თანამშრომელნი არიან: თ. აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, თ. ი. მაჩაბელი; ჯერ-ჯერობით აღგვითქვეს თანამშრომლობა: ეგ. გაბაშვილისამ, იაკობ გოგებაშვილმა, სოფრონ მგალობლიშვილმა, ი. ბახტაძემ (ხონელმა), ნ. ლომაურმა, ანტ. ფურცელაძემ, ა. ჭიჭინაძემ, კ. თაყაიშვილმა, ზ. უმიკაშვილმა. ნ. ხიზანაშვილმა (ურბნელმა), დ. ხოშტარიამ (დუტუ მეგრელმა), გ. იოსელიანმა და ა. გარსევანიშვილმა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.

ნახევარის წლისა გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთი. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მან., გაგზავნით 3 მან., თითო ნომერი აბაზად. კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე.

**ხელის მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ** ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოდან და «ქართ. წერა-კითხ. საზოგ.» კანცელარიიდან. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ „ჯეჯილის“ და „კვალის“ რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლად.

ვინც „ჯეჯილსა“ და «კვალს» ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა

---

კვირას, 10 იანვარს, ამა 1893-ს წელს ქუთაისის კრუჟოკის დარბაზში დანიშნულია **ბალი** სასარგებლოდ ღარიბ მოწაფეთა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

ბილეთის ფასი მამაკაცთათვის 2 მან., და ქალთათვის—1 მან.

დასაწყისი 9 საათზედ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

გამგე ბალისა კნეინა მარიამ არჩილის ასული წერეთლისა. (3—2)


## დრო ა!..

(წერილი რედაქციის მიმართ)

მე მგონია, არავისთვის საჭირო არ უნდა იყოს იმ საანბანო ჭეშმარიტების დამტკიცება, რომ ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილ ერისათვის ერთი უმთავრესი იარაღი, გარემო ვითარების საწინააღმდეგოდ ბრძოლაში თვით-არსებობის დასაცველად, არის ლიტერატურა, დედაენაზედ მწერლობის განვითარება, გაძლიერება. დაივიწყეთ ქართული ენა, მოსპეთ ქართულის ლიტერატურის განვითარება, და საქართველოც მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი-ღა იქნება!

შევხედოთ დასავლეთ ევროპის პაწაწინა ერთ! როცა ისინი სხვა დიდ სახელმწიფოთ დაუკავშირა ბედმა, თუ არ ჰქონდათ, მაშინ იჩენდნენ ანბანს და არა რაისაგან ჰქმნიდნენ სამშობლო ენაზედ ლიტერატურას, რომ შესძლებოდათ არსებობისათვის ბრძოლა და სრულიად არ აღგვილიყვნენ ქვეყნის პირიდგან! ჩვენ, მადლობა ღმერთს, ანბანიცა გვაქვს და ლიტერატურაც უხსოვარ დროიდგან, რომელიც თუ უფრო მაღლა არ იდგა ძველად, არც ერთ მაშინდელ ერთა ლიტერატურას აგრე რიგად უკან არ ჩამოუვარდებოდა.

ეხლა-კი რასა ვხედავთ? მთელი ჩვენი ლიტერატურა ამ ჟამად სულ რამდენიმე ლექსთა კრებულია და რამდენიმე პატარა მოთხრობა ორიოდე ავტორისა. რომანი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა სხვა ერთა ლიტერატურაში, აგერ რამდენი ხანია, და ლამის კიდევაც მოიჭამოს თავისი დრო, ჯერ ჩვენში არც-კი გაჩენილა; მაშინ, როდესაც მეთორმეტე საუკუნეში სხვაგან ძლივს იდგავდა ფეხს ლიტერატურა, ჩვენ იმისთანა რომანები გვქონდა, როგორიც არის „ვეფხვის-ტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და სხვანი...

რა არის მიზეზი ჩვენის ლიტერატურის ამ გვარად დაქვეითებისა, უკან დაწევისა? იქნება ნიჭიერი მწერალნი აღარ გვყოლიან მას უკან და დღესაც აღარ გვებადებიან? მწერალნი-კი გვყვანდნენ და დღესაც გვყვანან, მაგრამ მაგარი ის არის, რომ იმათ წერისთვის არა სცალიანთ და უმეტესი ნაწილი თავიანთ დროისა იძულებულნი არიან ლუკმა პურის შოვნის ფიქრსა და ზრუნვას მოახმარონ. „სალიტერატურო მოღვაწეობა ჩვენში საქველ-მოქმედო მოღვაწეობად გამხდარა, ისეთ მოღვაწეობად, რომელიც მოღვაწეთაგან, არამც თუ მარტო ზნეობრივს, არამედ დიდ ნივთიერს მსხვერპლსაც ითხოვს. ხოლო რადგანაც ამ გვარნი თავ-გამოდებულნი ყველა საზოგადოებაში ძნელად მოიპოვებიან, ამიტომ ჩვენი ლიტერატურა მარტო იმითი სცხოვრობს, რასაც მიაწოდებენ ათასში ერთხელ ჩვენის მწერლობის მოყვარულნი. ბევრი ნიჭიერი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ალევს თავის ძალ-ღონეს სხვა-და-სხვა უწყებაში სამსახურს და, როდესაც მოიცლის, მხოლოდ მაშინ დასწერს საჩქაროდ ერთ-ორიოდე სტრიქონს: ეს ჩვენს საბრალო ლიტერატურასაო. ამით, რასაკვირველია, ფეხს ვერ გაიმაგრებს და კუთხსაც ვერ გაიძლობს ჩვენი მწერლობაო“,—ამბობს „ივერიის“ № 246-ში ავტორი მეთაურის წერილისა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი მწერლობა ამ ჟამად ერთად-ერთ გაზეთის ფურცლებზეა მოთავსებული, ჩვენდა სამარცხვინოდ. მერე ამას რა ეშველება, მეტყვიან; შეუძლებელია, რომ ჩვენში მწერალმა მხოლოდ სალიტერატურო შრომით იცხოვროსო, ხელოვნად ვინმე გარდიქციოსო. შეიძლება, ეს შეუძლებელია ჯერ-ჯერობით მაინც, სანამ ყოველის ქართველისათვის წიგნის კითხვა მიუცილებელ საჭიროებად არ გამხდარა, მაგრამ ის ხომ მაინც შესაძლებელია, რომ გაჭირვებაში შემწეობა აღმოვუჩინოთ ქვეყნისთვის თავ-გამოდებულთა და, სანამ შესაფერი საქმე უშოვნიათ, შიმშილსა და შეწუხებას გადავარჩინოთ.

„როცა გვყავს, არ ვინახავთ, მოკვდება და ვსტირითო“, ბრძანა ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ საბრალო ი. დავითაშვილის პანიშვიდზედ ტფილისში. მერე როდემდის უნდა იქმნას ასე? ნუ თუ დრო არ არის ვეცადნეთ, რომ ცოცხალნი დავიფაროთ, თორემ სიკვდილის შემდეგ „ფარისევლურის ტირილ-წუწუნით“ ველარც მკვდართ ვარგებთ რასმე და ველარც დარჩენილთ? მე მგონია, რომ დროა. წარმოიდგინეთ, რუსეთშიაც-კი, სადაც ერთი წიგნი რამდენსამე ათიათას ეგზემპლიარად იბეჭდება და ავტორები რამდენსამე ათას მანეთს იღებენ გასამრჯელოსა და სასყიდელს, სადაც ჟურნალები ერთ დაბეჭდილ თაბახში 5 თუმნიდამ 10 თუმნამდის და კიდევ მეტს იძლევიან, არსებობენ საზოგადოებანი, რომელთაც საგნადა აქვთ დაეხმარონ შევიწროებულ მდგომარეობაში მწერალთა. ვინ არ იცის, რა ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე და რაოდენი სარგებლობა მოაქვს ერთ ამისთანა საზოგაოებას, რომელიც პეტერბურგშია და მთელს რუსეთში ჰმოქმედებს „სალიტერატურო ფონდის“ სახელ-წოდებით?..

აი სწორედ ამისთანავე ფონდის დაარსებაა ჩვენში საჭირო, თუ გვინდა, რომ ჩვენში ლიტერატურა წინ წავიდეს და ჩვენც ქართველებადვე დავრჩეთ. აკი ჩვენმა მეზობლებმა სომხებმაც, რომელთაც სხვაშიაც ბევრში გაგვასწრეს წინ, ამ საქმეშიაც უკან დაგვტოვეს და შეუდგნენ ფონდის დაარსებას. როგორც გაზეთებიდგან ვიცით, იმათ თანხა შეუდგენიათ კიდეც და ეხლა წესდების შემუშავებას შესდგომიან. დროა, ჩვენც წავბაძოთ იმათ, დროა ჩვენც ვიზრუნოთ ჩვენთა მწერალთათვის, რომ თუ ამ საუკუნეში აღარა, მე-XX საუკუნეში მაინც ნ. ბარათაშვილისთანა გენიოსს მამულიშვილებს არ სჭირდებოდეთ, ორიოდე გროშისთვის რომელსამე მივარდნილ დაბა-ქალაქში „სტოლონაჩალნიკებისა“ და მათის „პომოშნიკების“ სკამებზედ ისხდნენ და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდეთ უაზრო ქაღალდების გადაწერითა; რომ მაშინ მაინც იმათი ნეშტი ისე საძებნელი აღარ გაუხდეს შთამომავლობას, როგორც ეხლა ჩვენ ვეძებთ ბარათაშვილის ნეშტს, და, ვინ იცის, თუნდ მოვსძებნოთ კიდეც, მოვახერხებთ გადმოსვენებას თუ არა!

სრული იმედი მაქვს, რომ თუ-კი ამ საქმეს რიგიანი მოთავენი და ხელმძღვანელნი აღმოუჩნდებიან, ჩვენი საზოგადოება, რომელიც სრულიადაც არ ყოფილა ისეთი გულ-გრილი საზოგადო საქმეებში, როგორც აქამდის გვეგონა, რაც აშკარად დაამტკიცა მან ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღებით, თანაგრძნობით მოეკიდება ამ დღეს ჩვენთვის ყველაფერზედ უსაჭიროეს საქმესაც და არ დაიშურებს თავის წვლილს. როცა რომელიმე მწერალი გვეცლება ხელიდამ, ან ავად ხდება, მაშინ თუ ვიღებთ თითო-ოროლა გროშს, უკეთესი არ იქნება, ეს გროშები წინ-დაწინ გამოვიღოთ, დავაარსოთ ფონდი და ცოცხალნიც შევინახოთ და მკვდარნიც ღირსეულად დავიტიროთ? რასაკვირველია, რომ უკეთესი იქნება!..

მაშ, იმედია, ვინც-კი ჯერ კიდევ ქართველს უძახის თავის თავს, ვისაც ოდნავ მაინც უღვივის გულში სამშობლო ქვეყნის სიყვარული და სურს მისი წარმატება, ვისაც სამშობლოს კეთილ-დღეობა ახარებს და მისი წყლული თავის წყლულად მიაჩნია, განურჩევლად წოდებისა, ხარისხისა, მიმართულებისა და ხნოვანებისა, გაავრცელებს ჩვენში სალიტერატურო ფონდის დაარსების მიუცილებელ საჭიროებას აზრს თავის ნაცნობთა და მეგობართ შორის და შეუდგება ფულის შეკრებას. რასაკვირველია, ჩვენი ბანკები, წიგნის გამომცემელი ამხანაგობანი, რედაქციები და სხვა დაწესებულებანიც აღმოუჩენენ დახმარებას ამ საქმეს, თავიანთ შეძლებისამებრ, სიტყვით, თუ საქმით და ამ ნაირად გაიჩარხება საქმე!

დღეს მით უფრო საჭიროა ჩვენში სალიტერატურო ფონდის დაარსება, რომ, როგორც მკითხველიც შეჰნიშნავდა, ამ ჟამად, ვითარცა სხვა საზოგადო სარბიელზედ, აგრედვე ლიტერატურიშიაც „გამოვიდნენ სამუშაოდ ახალგაზდანი გლეხთა, სამღვდელოთა და ღარიბ აზნაურთაგანი“ „იხ. ივერია“, № 238 (წერილი პაატასი), რომელთაც იმდენი შეძლება ძლივს აქვთ, რომ სწავლა დაასრულონ. დაამთავრებენ სწავლას და აღარავითარი სალსარიაღარ აქვთ ცხოვრებისათვის. რამდენი მაგალითი ყოფილა, რომ ახალგაზდა ყმაწვილს ჯერ ისევ სასწავლებელში დაუწყვია წერა, ნიჭიც გამოუ-

## ფელეტონი

### ბებერი ლომი

დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ხმარობს ველარა:
დაედვა შეუდრეკს ძალას
ჟამთ ვითარების ბეგარა.
სხეულით დაუძლურებულს
ვინ შაიბრალებს ნეტარა?!
ის დრო აღარ აქვს მეფესა,
მიწას რო სდრეკდა ტოტითა,
გმირულის გავლით ვაჟკაცი,
მამაცის გადაბოტვითა.
ველარ სჭექს წინანდებურად
ბუნაგშია წევს წყნარადა,
ნადირთა თავ-ზარ დამცემი
ეხლა იმალვის თავადა,
ჰგავს თორმეტის წლის სნეულსა,
გულით ისეა ავადა.
ფიქრი უპირო სოფელზე
სახეს ატყვია შავადა.
დაბერდა ლომი, დაბერდა
კლანჭებსა ხმარობს ველარა:
დაედვა შეუდრეკს ძალას
ჟამთ ვითარების ბეგარა.
ტანი სულ დაჭკოჟრებია,
შემომტვრევია ბწკალები,
არ ანათებენ ძველებრივ
მისი ლამაზი თვალები.
ბეჩავო ნადირთ მეფეო,
ნეტავ ვის შაებრალები.
წაჰსვლია ძველი ილეთი
წყლულად ჰქცევია ტყავია,
ვიჰმე რა საბრალო არის
რა ძნელი სანახავია!
სიმშილით შაწუხებული
ჰქექავს თაგვების სოროსა,
თხოულობს მოწყალებასა,
რომ ტანჯვა დაიშოროსა.
ყურს ვინ მიუგდებს საწყალსა
ყველა თავისთვის ნადირობს,
ზოგი თავ-ხედი და ბრიყვი
ჯავრის აშოყრას აპირობს.
ბევრს იამს ბუნების ცოდვა,
დაუძლურება გმირისა,
არც ერთი ლომის სიბერეს
ნადირი არა სტირისა.
ვეფხვს უფრო გაჰხარებია
სისუსტე ავის პირისა;
გალაღებული ირემი
ფურს უხმობს, მთაზე ყვირისა.
დაბერდა ლომი, დაბერდა,
კლანჭებსა ხმარობს ველარა,
დაედვა შაუდრეკს ძალას
ჟამთ ვითარების ბეგარა.
იგონებს იმ დროს, როდესაც
ნადირთა გუნდი ებარა
და ლეში იმის ბუნაგში
გამოულევლად ეყარა.

ვაჟა-ფშაველა

* * *

I

„იადონი რათ არ მღერსო“—
გლოვით მოსთქვამს მთა-და-ბარი—
„რად დაგვტოვა უპატრონოდ,
სად გაქრაო მეგობარი?
გარს გრიგალი შემოგვკივის,
თავზედ გვაყრის ნამქერ-ბუქსო
და ღრუბლები არ უშვებენ
მზის სხივს, ჩვენსკენ მონაშუქსო.
ტანთ-საცმელი შემოგვაცვდა,
თოვლი სუდრად გვედებაო,
რად არ გვისმენს, თუ-კი ესმის
ფრთოსანს ჩვენი ვედრებაო;
რად არ დასტყვენს მწუხარებით,
ჩვენთან ცრემლებს რად არ ღვრისო?
რად არ გვესმის გლოვით მოთქმა
ჩვენ მეგობრის გულ-დამწვრისო?!
თუ ლხენის დროს გვმეგობრობდა,
რად არ გვმოყვრობს გლოვის დროსო?!

ჩენია, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ სადღაც მიკარგულა! ეს ერთი ხანია ჩვენში ყოველ მხრიდგან გაიძახიან, ახლანდელი ახალგაზდობა მოჩიავებულია, ნიჭიერები აღარ ჩნდებიან, ეხლანდელი მწერალნი ვერ ამოუდგებიან მხარში წინანდელებსაო. ეს, ჩემის აზრით, მართალი არ არის. ნიჭიერები ეხლაც ბევრნი არიან, მაგრამ უსაღსრობისა გამო, სიღარიბისა და შეუძლებლობის მიზეზით, ვერ გამოუჩენიათ თავი, ვერ განუვითარებიათ ნიჭი. თუ დღემდე შეძლებული წოდება გვიზრდიდა საზოგადო მოღვაწეთ, ეხლა, როგორცა ვსთქვით, ღარიბ-წოდებათაგანაც გამოდიან სასარგებლო კაცნი. ამ ათიოდე წლის წინად თითქმის ყველა ჩვენი მწერალი თავადიშვილი იყო (ნახე: „Грузинскіе поэты въ образцахъ“, Тхоржевскаго), ეხლა მომეტებული ნაწილი მათი მდაბიო წოდებისაა. აი, მიეცით ამისთანებს ღონისძიება, დაეხმარეთ გაჭირვებაში, ნუ დააჩაგვრინებთ ბედს და ჰნახავთ, თუ ქართული მწერლობა წინ ვერ წავიდეს, ვერ აღორძინდეს, ფრთა ვერ გაშალოს!...

ვიდრე საქმე გამოირკვეოდეს, ან ახალი საზოგადოება შესდგებოდეს, ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ დაეკისრებოდეს ფონდის გამგებლობა, ფული სალიტერატურო ფონდის დასაარსებლად უნდა გაიგზავნოს „ივერიის“ რედაქციაში.

ჩემის აზრით, ბაქრაძისა, ბარათაშვილისა, დავითაშვილისა და ყაზბეგის სახელობაზედ შეკრებილ ფულიდამაც, თუ რამ გადარჩა ამ ფონდების პირდაპირს დანიშნულებას, ამავე სალიტერატურო ფონდისთვის უნდა გადაიდოს...

დ. ხ.

დ. სამტრედია
10 დეკემბერი
1892 წ.

P. S. ამასთანავე გიგზავნით ექვს მანეთს, ჩემ მიერ შეკრებილს, და გთხოვთ ეს ხელის მომწერთა სია დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში: ს. მესხი—2 მ., გ. გაბუნია—1 მ., ბ. კაკაბაძე—1 მ., პ. გელეიშვილი—1 მ. კ. შენგელია—1 მ., სულ 6 მან.

დ. ხ.

# ახალი ამბავი

** 6 იანვარს ტფილის საარტისტო საზოგადოებას კრება ჰქონდა. ამ კრებაზედ წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ გასულ წელს საზოგადოებას 14,023 მანეთი შემოსავალი ჰქონია და გასავალი—13,482 მანეთი და 87 კაპ. ამ წელს შემოსავალს 11,850 მანეთს მოელიან კონცერტებისა და წარმოდგენებიდგან. ამავე კრებაზე საზოგადოების გამგებლებად ამოირჩიეს: ბ-ნი პ. ა. ოპოჩინინი, ბ-ნი ლ. ი. შევალიე და ბ-ნი ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი; სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნი ფულინოვი, ბ-ნი გ. მ. არარატსკი და ბ-ნი გ. ბ. ტერ-ასატუროვი.

** შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება-დართო,—რომ ამ წლის თებერვლის პირველ რიცხვეიში კავკასიის ექიმებმა გაჰმართონ ტფილისში საერთო კრება და გარდასწყვიტონ: როგორ და რა ღონის-ძიებით ებრძოლონ წლეულს ხოლერას, თუ ვინიცობაა გვესტუმრა ეს სენი.

** ჩვენ მივიღეთ ქ. ფოთში კონსტანტინე რუხაძის მიერ შეგროვილი 34 მანათი იოსებ სვიმონის ძის დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ. ეს ფული „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადაეცა.

** გუშინ-წინ, 7 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გარდაცვალებულის ტერ-სტეფანოვის ანდერძის საქმის გამო შემდეგი განაჩენი დაადგინა: ამ ანდერძის წერილის სინამდვილის დასამტკიცებლად ხელ-ახლავ ჩამოერთვათ ჩვენება ყველა იმ მოწმეთ, რომელთაც უწინ ოლქის სასამართლომ ჩამოართვა ჩვენებაო.

** რადგან საშიშოა, რომ ვაზის ჭირი—ფილოქსერა კახეთის ვენახებსაც არ შემოესიოს, ამიტომ საუფლისწულო მამულების უწყებას გარდაუწყვეტია: ქუთაისის გუბერნიაში გამართოს ისეთი სადგური, სადაც ამერიკის ვაზები მოშენდეს, და შემდეგ ამ ვაზის რქები კახეთში გადაიტანოს მოსაშენებლად. ამ საქმის გამო ქუთაისს გაემგზავრება ამ დღეებში განსაკუთრებული კომისია.

** 1893 წლის 1 მაისისათვის ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ მესამედ დაჰნიშნა ვაჭრობით გასყიდვა დ. თ. ანდრონიკაშვილის უძრავის მამულისა, რომელიც სულ 625 დესეტინაა. ეს მამული დაფასებულია 9375 მანეთად და იმყოფება სიღნაღის მაზრაში, სოფ. ლამბალოს.

** მიხეილის სამკურნალოში წარსულს დეკემბერს იმყოფებოდა შინაგან ავადმყოფობით 133 სნეული, ჭრილობა-დაშავებულობით და თვალის ავადმყოფობით 49, სიფილისითა და მუწუკით 16, სულით ავადმყოფი 64, 2 ხოლერით, 5 ხუნაგით, 1 ქუნთრუშით, 2 წითელის ქარით, 2 სახადით, 1 ყვანით, 16 ჭლექით, 15 ციებ-ცხელებით. ამათში რუსი იყო 75, ქართველი 60, სომეხი 43, პოლშელი 6, თათარი 7, გერმანელი 5, ებრაელი 3, აისორი 2, ბერძენი 1.

** ახალ-სენაკის ნასწავლ ახალგაზდობას თავისი ხარჯით 1 იანვრიდგან დ. ახალსენაკშივე სახალხო სამკითხველო გაუმართავს, სადაც ფასი არ გამოერთმევათ წიგნის კითხვაში.

** ნავთლუღში 2-ს იანვარს აფეთქება მოხდა თოფის წამლის საწყობში, რომელიც გენერალ ვინნერს ეკუთვნოდა. შენობა ერთიანად დაინგრა, თოფის წამალი 150 ფუთამდე დაიწვა და ზარალი 3500 მანეთამდეაო, ამბობენ. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

** ს. საყულია. (ქუთაისის მაზრა): ჩვენს სოფელში ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ქურდობა. დეკემბრის დამლევს ერთმა აქაურმა გლეხმა, ე—მე კ—ძემ იყიდა ცხენი ერთ მახლობელ სოფელში. საღამოზედ მოვიდა შინ, ცხენი გარეთ მიაბა ხეზედ და თვითონ სახლში შევიდა. ცოტა ხანს უკან გამოვიდა გარედ და ცხენი აღარ დახვდა. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, მაგრამ ცამ ჩაჰყლაპა თუ მიწამ, ვერაფერი გაიგო.

** ჯუმათი (ოზურგეთის მაზრა): 7 იანვარს ღამის ასე 3 საათზედ, ჯუმათს ახლო საქონლის მატარებელს დაეჯახა მუშა მატარებელ. დაიმტვრა ოთხი ცისტერნი და ორთქლმავალი. უბედურება არა მომხდა-რა.

** ახალ-სენაკი: დღესასწაულებში აქ ყოველივე ხორაგეულობა იაფი იყო, გარდა ღვინისა. აქ ძნელად იპოვით ისეთს ღვინოს, რომელსაც ბუნებური გემო ჰქონდეს. რაც არის იმასაც მეტის-მეტად ძვირად ჰყიდიან. იმერულ ღვინოს გარდა აქ გურულ ადესის ყურძნის ღვინოს ჩამოტანა შემოიღეს მოდათ და ჰყიდიან, როგორც „ჩხაველის“.

** „Нов. Обозр.“ სიტყვით, მომავალ დიდმარხვაში ტფილისს ეწვევა ჩვენის საზოგადოების მიერ უკვე ცნობილი სკრიპკის დამკვრელი ბ-ნი ონდრჟიჩეკი. ამ უკანასკნელ დროს ბ-ნი ონდრჟიჩეკი მილანში იყო, ახლა გერმანიაშია, საიდანაც წამოვა პეტერბურგს, მოსკოვს და იქიდამ პირდაპირ ჩვენ გვესტუმრება. რამდენისამე კონცერტის შემდეგ, ბ-ნი ონდრჟიჩეკი ისევ იტალიაში დაბრუნდება და იქიდგან ჩიკაგოს გაემგზავრება.

** „Т. Л.“-ის სიტყვით, მომავალ მორიგ კრებაზე ტფილისის სამოქალაქო საბჭო განიხილავს ხმოსანის ბ-ნ ნ. დ. ზუბალოვის მოხსენებას იმის შესახებ, რომ შემუშავდეს წესდება სამოქალაქო გამგეობის მოხელეთა პენსიებისა და შემწეობისა.

** იმავე გაზეთის სიტყვით, ამას წინად ტფილისის სამოქალაქო საბჭომ გარდასწყვიტა სასანიტარო დასებმა 1 თებერვლამდე იმოქმედონო. ახლა, როგორც ამბობენ, განზრახვა აქვთ: რადგან ბათუმში ჯერ კიდევ აქა-იქ ხოლერა არ შეწყვეტილა და ამიტომ შესაძლებელია ტფილისშიაც გაჩნდეს, სასანიტარო დასის რაზმებმა თავისი მოქმედება გაზაფხულამდე განაგრძონო.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა სტანისლავის ორდენი მეორე ხარისხისა—მომრიგებელ მოსამართლეს ტფილისის პირველის განყოფილებისას ლევან მღებრიშვილს.

დაინიშნა ბაქოს მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწე, კოლეჟსკი სეკრეტარი თავადი გელოვანი ბაქოსავე ოლქის სასამართლოს გამომძიებლის აღმასრულებლად.

დამტკიცებულ იქმნენ თავ-თავიანთ ხარისხზე და უფროსობა ებოძათ: სასოფლო მეურნეობის სწავლა-განათლების კანდიდატს, კოლლეჟსკი სეკრეტარს თავად ვლადიმირე სუმბათაშვილს და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყების ქუთაისის განყოფილების მოხელეს, გუბერნსკი სეკრეტარს სოკრატ ამაშუკელს.

კოლლეჟსკი რეგისტრატორობა ებოძა ტყის უფროსს გორჩის მაზრისას ტარიელ მატინოვს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**საჩხერე**, 30 დეკემბერს. საჩხერის საზოგადოებამ გაისტუმრა ბათუმს მკურნალი ბ-ნი გ. ლ. ელიავა, რომელიც თავისმა მთავრობამ გადაიყვანა იქ სამსახურად. ბ-ნ ელიავას მცხოვრებლებმა გაუმართეს გამოთხოვების სადილი. სადილზე ბლომად იყვნენ ქართველნიცა, სომეხნიც და ებრაელნიც. სადილზე ბევრი გრძნობით სავსე სიტყვა წარმოითქვა. ყველა გულით იხსენიებდა იმ ღვაწლსა და დაუზარელს შრომას, რომელიც ბ-ნმა ელიავამ გაუწია ამ მხარეს ხუთის წლის განმავლობაში. პირველ სადღეგრძელოს შემდეგ მიართვა საზოგადოებამ ბ-ნ ელიავას სახსოვრად ერთი ვერცხლის აზარფეშა. სადილზე იყო მიპატიჟებული ელიავას მაგიერი ექიმი ბ-ნი ფიბერიც. სადილი გათავდა და მოსადილეთ დიდის ამბით გაცილეს თავისი ძვირფასი მოამაგე.

ზემოური

**სოფ. ხორში** (ზუგდიდის მაზრა): შარშანდელმა წელიწადმა ამ ბოლოს დროს კიდევ მოიქნია კუდი და ცოტა ზარალი არ მოგვცა. ისეთი აღმოსავლეთის მძლავრი ქარი ამოვარდა დეკემბრის დამლევს, რომ კინაღამ სულ ამოგვწყვიტა. სახლები დაგვიმტვრია და დაუზიანებელი ვერაფერი გადურჩა... ქარმა ჩვენი ეკკლესიაც მეტის-მეტად დააზიანა...

აქეთკენ გახშირებულია სხვა-დასხვა მოარული, უფრო ხშირია სურდო-ხველა. მიზეზი, რასაკვირველია, წლევანდელი ცივი და ხმელი ზამთარია... ქურდობა ცოტ-ცოტათი არის მაინც აქეთ.

**ს. რუისი** (გორის მაზრა). მრავალ გვარ საჭიროებას გარდა, რუისელებისათვის ერთი გაჭირება უტყეობაა. აგერ 8—9 წელიწადი იქნება, რაც თთ. ციციშვილებმა ამოუკვეთეს და თავიანთ ტყეში აღარ ატარებენ. მიზეზი ის არის, რომ ციციშვილები დიდ შალბაშს ითხოვენ, და რუისელები შეუძლებლობის გამო ვერ ურიგდებიან. შეუძლებლობასაც როგორმე გაუძლებდა აქაური გლეხი, მაგრამ ორი სხვა მიზეზიც უშლის ხელს: ერთი ის არის, რომ ზოგიერთს ციციშვილს სრულიად არ უნდა, რუისელებმა საციციანო ტყეში იარონ. მეორე მიზეზი ის არის, რომ შეძლებულნი, საქონლიანნი გლეხნი, დიდ ხარჯის გაღებას, ისევ იმასა რჩეობენ, რომ შორს, საფალავანდო ტყიდგან ჰზიდონ შეშა, ხელ-მოკლე ადამიანიკი, როგორც ყველაში, ამ შემთხვევაშიაც უმწეოდ არის დარჩენილი. მეტი ღონე არა აქვთ, იძულებულნი არიან ვენახებს შემოაძრონ ღობეები, გადასჩეხონ ხეხილები და სხვ. ისეთისეთ მსხლის, ვაშლის და კაკლის

---

ნუ თუ მგოსნის წესი არის
სატრფოს ჭირში ემუხთლოსო?!

II

იადონი შორეს არის,
დღეს შორსა სტვენს ბედის მგმობი;
სხვისმა სევდამ, ვით თავისმა,
დასწვა გული, ბევრის მგრძნობი.
ვერ ეტოქა მკაცრს ბუნებას,
ვერ გაუძლო ბრძოლის ცხარეს,
დაზამთრდა და გულ-დამწვარი
გადიხიზნა უცხო მხარეს.
აქ მინდვრები მკვდარსა ჰგვანან,
დაჰკარგვია ტყე-ველს ცნობა:
იქ რას იზამს სიყვარული,
სად არ არის თანაგრძნობა.
იმას ვარდი დამალვია,
ის გული დაუხურავს,
თითონ თავი შეუნახავს
და მოტრფე-კი გაუწირავს.
რომ ასტირდეს, რათ იტიროს,
ცრემლი ტყულა რისთვის ღვაროს?!
იგივე სჯობს, თავის ტანჯვა
თვის გულშივე რომ დაჰფაროს!

III

„შენ მგოსანო, რათ არ მღერო?“—
მეუბნება მგოსანს ხალხი—
„რად გინდა, რომ ქვეყნისაგან
შეიქნეო დასაძრახი?
ტანჯვის უღელს ვეღარ ვუძლებთ,
ლხინი ჭირად გადგვექცაო,
ჩვენს ქვითინზე ხმას არ იღებს
არც ხმელეთი, არც ზეცაო.
ქვეყნად ცოდვა დანავარდობს:
მას ვერ ვიმკით, რასაც ვრგავთო,
დღე და ღამე სისხლის ოფლით
დედამიწას ტყვილა ვრწყავთო!
რად არ მოსთქვამ შენც ჩვენს ნაღველს?
სატირლად რად არ მღერო?
შენს მხურვალე გრძნობის სიმებს
სევდით რად არ ააჟღერო?
ან ჩვენს ბედზედ რად არ გლოვობ,
არ აცრემლებ ნაღვლით ჩანგსო?
ან სიყვარულს რათ არ უმღერ
და არ ასწევ გრძნობით ჰანგსო?!

IV

რომ ვიმღერო, ვის ვუმღერო,
ვის შევასმენ გულის თქმასა?
ყურს ვინ უგდებს სასოებით
ჩანგზე ნაღვერ ციურს ხმასა?..
სიყვარულს რომ ავუმღერდე,
ვინ ავილო ამის საგნად?
მძებნელი და ვერ მნახველი
რათ ჩავიგდო გული საკნად?
რომელს ჰპოვებ ჩვენთ ქალთ შორის,
რომ ეთქმოდეს ქართველობა,
და, „სიყვარულს“ რომ ვუწოდებთ,
შერჩენოდეს დღეს ის გრძნობა?
რომელია, რომ მებრძოლი
ტრფობით უფრო გაამხნეოს,
მხარი მისცეს სანუგეშოდ
და მამული ადიდ-დღეოს?!
ქვეყნის ერთგულთ ზურგს აქცევენ
და ეტრფიან სხვების მონებს!..
ის ჩემს ტრფობას რით შეიგნებს,
ვინც რომ მონას მოიწონებს!?.
ხალხის შავ-ბედს რომ დავჰკვნესო,
ვინ შეისმენს ჩემს მწარს მოთქმას?
ხელს ვინ მისცემს თანაგრძნობით
შავს დღეშიდ და ჭირშიდ მყოფს ძმას?
ხალხის გული გაყამირდა,
არ იძვრის და არ იხვნება,
თესლი, მასში ჩათესილი,
უნაყოფოდ შიგვე ჰკნება!..
ალოს ვუცდი, ნეტარს ალოს!
დაე, ბედმა იავ-გულოს
და უზრუნველ ხალხის გული
მოალბოს და მოახუროს:
როცა ცივს გულს ცეცხლ-კუპრს მოსდებს
ტანჯვა, საზღვარს გადამცდარი,
მაშინ ჰმართებს ჩანგს სიმხნევე,
მაშინ უნდა წინამძღვარი!
მაშინ სიტყვაც იმოქმედებს,
და ვინც მაშინ წინ არ მნახოს,
იმ ტკბილის დღის მომლოდინეს
დედა-ბერი დამიძახოს!

ცახელი

1 იანვარი 1893 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეებს ჰნახავთ აქ დაჰრილს შემად, რომ სწორედ დაგენანებათ. არ ვიცით, როგორ გვეშველება და საიდან რა მოგვევლება!..

სწორედ კაი ვარსკვლავზე არ დაიბადა აქაური „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა", ანუ „ბანკი" 1876 წელს; როცა დაარსდა, ერთ ორ წელიწადს და სამსაც კარგა იწარმოვა, მერე დაუბრუნდა უკუღმა ბედი და სულ უკან უკან წავიდა. შარშან-წინ კიდევ ვიღაცა ავაზაკებმა გასტეხეს სახლი და კასსა, ბებნისის გზაზე დააცარიელეს და ამოალაგეს, რაც გროშები ყოფილიყო, და თან ვექსილებიც. იპოვნეს მეორე დღეს ყუთი, მოიტანეს და შეინახეს ისევ სახლში. წრეულ-კი სულ კვალ-წმინდათ გაქრა მისი სახსენებელი. ის ოთახი, საცა კასსა იდგა, შეუერთდა „კანცელარიას" და ამხანაგობის ქაღალდ-დავთრებმა დაიწყეს სოფელში წივწივი და ერთმა გლეხმა შეაფარა ჯერ-ჯერობით თავის თავლას!..

## რუსეთი

„Русск. Вѣд."-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ წარუდგინა მინისტრთა კომიტეტს პროექტი იმის შესახებ, რომ ერთ გვარი სავალდებულო წესდება შემოღებულ იქმნას რუსეთის იმპერიის ყველა კუთხის სამეტეოროლოგიო და სხვა ობსერვატორიებსა და სადგურებში.

— ამას წინად რუსეთის გაზეთებმა ბევრი ილაპარაკეს იმის შესხებ, რომ სხვა-და-სხვა გუბერნიებისა, მაზრებისა და საზოგადოებათა გლეხებს სხვა-და-სხვა დრო და ვადა დაენიშნოთ ხარჯის აკრებისა იმის მიხედვით, თუ სად როდისა აქვს შემოსავალი თვით გლეხსაო. ამის გამოკვლევას კანონი გლეხთა საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს ავალებს, რომელიც სამაზრო მომრიგებელ შუამავალთა და სოფლის ყრილობათა შემწეობით არკვევს ამ საგანს. როცა საქმე მიდგა აღსრულებაზე, „Р. В."-ის სიტყვით, სოფლის ყრილობათა უფლება ხარჯის აკრების ვადის დანიშვნისა მაზრის გამგეობამ მიითვისა და ამან კიდევ ხარჯის ასაკრებად სხვა-და-სხვა ალაგას ისეთი დრო და ვადა დაჰნიშნა, რომელიც უფრო მაზრის სამართველოებს ეხერხებოდათ, და არა გლეხებს. ამიტომაო, ამბობს გაზეთი, ძლიერ საჭიროა, რამდენიმე კერძო ვადა დაინიშნოს ხარჯის ასაკრებად, მაგრამ ეს ვადა, როგორც კანონი თხოულობს, უეჭველად ისეთ დროს უნდა იყოს, რომ გლეხის ქონებრივი მდგომარეობა ხელს უწყობდეს—გაუჭირებლივ გარდიხადოს სახელმწიფო ხარჯიო.

— ფინანსთა სამინისტროს ამ 1893 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, რომ ამ წელს ჩვეულებრივი შემოსავალი 961,222,143 მანეთი იქნება და ჩვეულებრივი გასავალი 947,690,385 მანეთი; ამ ნაირად ჩვეულებრივი შემოსავალი ჩვეულებრივ გასავალს 13,531,758 მანეთით აღემატება. საგანგებო შემოსავალი 79,236,242 მანეთი და საგანგებო გასავალი—92,768,000 მან.; ჩვეულებრივი და საგანგებო შემოსავალი ერთად 1,040.458,385 მანეთს შეადგენს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ლამის მინისტრ ბურჟუასაც გაჰკრას კლანჭი პანამის საქმემ და ჩრდილი მიაყენოს ამ სასიქადულო მამულიშვილსაც. გაზეთები სწერენ, რომ გამოძიებამ დაამტკიცა, ვითომ მინისტრ ბურჟუასაც ჰქონდა შეხება იმ ხუთის ჩეკისა, რომელიც სხვა-და-სხვა ბანკში დარჩენილა და რომელიც არტონისა ყოფილა. საზოგადოება გაფაციცებული ადევნებს თვალ-ყურს უფრო მეტის ინტერესით ამ სამწუხარო ტრაგიკომედიის ამბავს და ყოველსავე ახალს წვლილსა და გარემოებას მშიერივით ეტანება. გაზეთებს ემატება დამტებანი და ისე იბეჭდება ყოველ დღე. „Figaro" ჰკიცხავს იმათ, ვინც კარნოს შესახებ ცუდს და აუგს ხმებს ავრცელებს. „Caulois"-ა ამბობს, რომ ახალ სამინისტრო კრიზისს კარნოს გადადგომაც მოჰყვება რესპუბლიკის პრეზიდენტობის თანამდებობიდამაო. ყოველ ამას ზედ დაემატა ის გარემოება, რომ დეკემბრის გასულს, სწორედ ახალ-წლის წინა დღეს, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი უცბად და თითქმის მოულოდნელად გაემართა ელზას-ლოტარინგიას და სტრასბურგში მივიდა. ამ ამბავმა, მერე დღევანდელ გარემოებათა შორის, გულ-ფიცხნი და გრძნობა-ჭარბნი ფრანგნი დიდად ააპილპილა და გააცეცხლა. ისეც გულზე ცეცხ-მოკიდებულთ პანამის საქმის გამო, ამან უფრო ცეცხლი მოუკიდა და ძველი იარა განუახლა.

რიბომ ახალი სამინისტრო ასე შეადგინა: თვითონ იტვირთა შინაგან საქმეთა მინისტრობა, დეველს გადასცა პორტფელი გარეშე საქმეთა მინისტრისა, სამხედრო სამინისტრო ჩააბარა გენერალ ლუაზილიონს. ეს ახალი მინისტრი დიდად თურმე გამოცდილი სამხედრო კაცია, 63 წლისა. მეურნეობის მინისტრად არის ვიჟე. ადმირალი ჟერვე კრონშტადტელი უნდოდათ ზღვათა მინისტრად, მაგრამ მან არ იტვირთა და ახლა ასახელებენ ამ თანამდებობის კანდიდატად ადმირალს რენიეს.

პალატის ახალ პრეზიდენტის კაზიმირ პერიეს იმედი აქვთ დღევანდელ გაჭირებულ ყოფაში, მაგრამ იმდენი ბოროტება მოხდაო, რომ ამისთანა ყოვლად პატიოსანს და მწიკვლ-მიუცხოებელს კაცსაც-კი გაუჭირდება ყოველ ამ ბოროტების დათრგუნვაო. ჰფიქრობენ, რომ შესაძლოა კარნოს მაგიერ რესპუბლიკის პრეზიდენტად კაზიმირ პერიე იქმნას არჩეულიო. კლემანსოსაც მოხვდა პანამის საქმის ჭუჭყი და ტალახი და ლამის ბაიოს საქმის გამო ისიც მალე დააპატიმრონ. ერთის სიტყვით, მითქმა-მოთქმა და ტალახის აქეთ-იქით სროლა დიდია, ბევრნაირი და კაცმა არ იცის, როგორ და ან როდის მოეღება ბოლო ასეთს დიდად უსიამოვნო ამბებს. სამართალი თავის საქმეს განაგრძობს. მინისტრად ნამყოფი ბაიო, რომელსაც ცხადად აუღია ქრთამი, სრულიად გაწბილდა სასამართლოში. ყველა ზიზღით იხსენიებს მის საქციელსაო, ამბობენ გაზეთები.

## წვრილი ამბავი

ახალ-წლის წინად, 15 დეკემბერს, მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ იდღესასწაულა დიდებულის მეცნიერის პასტერის 70-ის წლის იუბილეი. დიდის ამბით უდღესასწაულნიათ ეს დღე სორბონნაში, ამ მეცნიერების უმაღლესს ტაძარში, სადაც უფრო ჰგრძნობდნენ და ხედავდნენ პასტერის ნაყოფიერ ღვაწლს მთელის ქვეყნიერობის წინაშე.

ვიდრე სორბონაში კრება გაიმართებოდა და დაიწყებდნენ პასტერის სადიდებლად დღესასწაულობას, აუარებელმა ხალხმა აავსო „სენტ-მიშელის" ბაღი და „ლუსკოლდუს" ქუჩა. $9^1/_2$ საათზე მიწვეულნიც მოვიდნენ და სორბონის დიდს შენობაში ტევა აღარ იყო. ამ დროს ქუჩიდგან მოისმა ხმა: „გაუმარჯოს კარნოს"-აო; საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტიც მიბრძანდა სორბონნაში. კარნო ჯერ სპატიო ოთახში შევიდა, ხელი-ხელში გაუკეთა და დიდებული იუბილიარი გამოიყვანა დიდს დარბაზში; საზოგადოება შეუწყვეტელის ტაშის კვრით მიეგება კარნოსა და პასტერს. დაიწყეს „სიტყვების" წარმოთქმა. პირველად წარმოსთქვეს საერო განათლების მინისტრმა დიუპიუიმ და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აბადიმ; ამ უკანასკნელმა ინსტიტუტის სახელით მიულოცა პასტერს საიუბილეო დღე და გარდასცა ოქროს მედალი, რომლის ერთ მხარეს პასტერის სახე გამოქანდაკებული და მეორეზე ასე ეწერა: „A Pasteur le Jour de ses soixante dix ans, la sciense et l'humanetè reconnaissantes.—27 decebmre 1892". შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს: ბერტრანმა, დობრემ და გამოჩენილმა ინგლისელმა ჯარა-ქიმმა ლისტერმა; ამ უკანასკნელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პასტერის გამოკვლევას გადამდებ სენთა გამოცნობასა და განკურნებისათვის. ქალაქ პარიჟის წარმომადგენელ სოტონის სიტყვის შემდეგ პასტერის წინ მოლოცვითა და საჩუქრების მირთმევით წარსდგნენ ევროპის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და დეპუტაციები. შემდეგ ამ ცერემონიისა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, იუბილიარს მიჰმართა სიტყვით რიუფმა, მოურავმა ქალაქ დოლისამ (Dole), სადაც დაიბადა პასტერი; რიუფმა მიართვა პასტერს ალბომი, იმ სახლის სურათით, რომელშიაც დაიბადა დიდებული მეცნიერი. ევროპის ყველა სახელმწიფოთა თითქმის ყველა სამეცნიერო დაწესებულებათა დეპუტატებმა ადრესები მიართვეს და სიტყვა უთხრეს პასტერს. პასტერი მღელვარებამ შეიპყრო და ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდა მოხუცს ლოყებზე; ორატორთა საპასუხოდ ორიოდე მადლობის სიტყვის მეტი ვეღარ მოახერხა-რა მცხოვანმა მეცნიერმა. ამიტომ წინდაწინ პასტერის მიერ შედგენილი წერილი წაიკითხა მისმა შვილმა. ამ წერილში სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა დელეგატებს პასტერი პასუხად ეუბნება: „თქვენ თქვენის მოსვლით სხვა-და-სხვა შორეულ ქვეყნიდგან თანაგრძნობა გსურდათ გამოგეცხადებინათ საფრანგეთისათვის, რითაც უღრმესი სიხარული და სიამე მაგრძნობინეთ. ეს სიამე უფრო საგრძნობია იმ კაცისათვის, რომელსაც, როგორც მე, უძლეველად და შეურყევლად სწამს ის აზრი, რომ მეცნიერება და მშვიდობიანობა დასძლევს უგუნურებასა და ომის მოყვარეობას; ერნი იმიტომ-კი არ შეერთდებიან ერთმანეთს, რომ ანგრიონ და ანადგურონ ყოველივე, არამედ იმიტომ, რომ აშენონ, და მერმისი მხოლოდ იმას მოიხსენებს კეთილად, ვინც მეტი გააკეთა ტანჯულ კაცობრიობისათვისაო." შემდეგ პასტერმა მიჰმართა ახალგაზდობას და სთხოვა—„ნუ უცქერით ეჭვით მეცნიერებასა, მიჰყევით ხელი სწავლასა და კვლევასაო. იცხოვრეთ ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკების დაურღვეველ მყუდროებაში. ჯერ ჰკითხეთ თქვენს თავს: აბა რა გავაკეთეთ სწავლა-ცოდნისა და განათლების შემწეობისათვის? შემდეგ, როცა მეცნიერებას შეითვისებთ, ჰკითხეთ კიდევ თქვენ თავს: რა შევსძინეთ საშშობლოს ჩვენის სწავლა-ცოდნით? ეს არა ოდეს არ უნდა გავიწყდებოდეთ მანამდე, სანამ არ იგრძნობთ განუსაზღვრელ და ტკბილს ნეტარებას კმაყოფილებისას, რომ თქვენც თქვენი წვლილი შეიტანეთ კაცობრიობის ზნე-გონებისა და წინ-მსვლელობის სალაროში. ცხოვრებაში მოღვაწეობის დროს ხშირად ხალხი ცოტად თუ ბევრად, გვეწონებს ჩვენ მეცადინეობას რაიმე საქმისათვის, მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა დავჯერდეთ... ჩვენ უნდა მივაპყრათ მთელი ჩვენი ყურადღება იმას, რომ, როცა ცხოვრებაში რომელიმე დიდი საგანი ირკვევა და განხორციელების საათს ეწევა, სრული უფლება გვქონდეს ვუთხრათ ჩვენს თავს: ჩვენ გავაკეთეთ, რაც შეგვეძლოო". გათავდა თუ არა პასტერის სიტყვის კითხვა, იგრიალა ხალხმა და ტაშის-კვრისა და „ვაშა, ვაშას" მახილისაგან ყურთა-სმენა აღარ იყო. სორბონიდგან გამოვიდა თუ არა პასტერი და ქუჩაზე გამოჩნდა, აუარებელმა სიმრავლემ ხალხისამ დაიგრიალა მრავალჯერ: vive Pasteur»!—პასტერს გაუმარჯოს!

## გასართობი

1892 წელი ჩაბარდა პატრონს. მკურნალები ამტკიცებენ, ხოლერით გარდაიცვალაო. „პრისტავმა" გარდაცვალებულის წლის მთელი ქონება აწერა და აღმოჩნდა, რომ 1892 წელს არაფერი სარჩო-საბადებელი არ დარჩენია ძველ კალენდრების გარდა, მაგრამ ამბობენ, რომ კალენდრების გამომცემელნი ამ ძველს კალენდრებსაც გამოიყენებენ, სათაურად 1893 წელს დააწერენ და ისე გაჰყიდიანო.

როგორი იყო ახალი-წელი? ხოლერის გარდა არაფერი შესანიშნავი არა მომხდარა-რა. რკინის გზის მატარებლები ნელ-ნელა დასრიალებდნენ და იმ სადგურებთან ჩერდებოდნენ, საცა ბუფეტებია გამართული. დიდი უბედურება არა მომხდარა-რა. რამდენიმე მატარებელი დაიმსხვრა, მაგრამ ეს რა ანგარიშში ჩასაგდებია. რკინის გზის მოხელეთა დათხოვნა ხომ სრულებით უბედურებად არ ჩაითვლება. რკინის გზისავე მოხელეთ პეტერბურგში კრება გაჰმართეს და ამ კრების დროს 100,000 ბოთლი ღვინო გამოწრუპეს.

ზოგი ვაჭარი გამდიდრდა და ზოგი გაკოტრდა.

ვაჭრებმა გაჰყიდეს დიდძალი პური, შაქარი, მარილი და სინდისი... უკაცრავად, სიმინდი უნდა მეთქვა.

ტფილისში დაიქცა რამდენიმე სახლი, დაიწერა 366 პიესა (აღბად იმიტომ, რომ 1892 წელს 366 დღე ჰქონდა) და დაიბადა ამდენივე დრამატურგი და პოეტი.

პოლიციამ 300 მთვრალი კაცი დაატუსაღა.

კანცელარიების მოხელეებმა ხუთი მილიონი შავად დაწერილი ქაღალდი გადაათეთრეს.

უფროსები უნცროსებს ეჩხუბებოდნენ, მოხუცნი ახალგაზდებს, ქალები კაცებს, კაცები ქალებს.

მეცნიერება უმეცრებას და პედაგოგები ისტორიკოსებს.

???

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენს გაზეთში დაჰბეჭდოთ შემომწირველთა სია იოსებ სვიმონის ძის დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ. ტარიელ ხაჭაპურიძემ 1 მ., დავით ბიგვავამ 1 მ., ეფროსინე ჯანჯღავამ 1 მ., სტეფანე გოგინავამ 1 მ., ნიკო ქოქიანომ 1 მ., ვასო ხარაზოვმა 1 მ., დიმიტრი ბოკერიამ 1 მ., სამსონ ბოკერიამ 1 მ., გრიგოლ გუგუნავამ 1 მ., სოლომონ კაკაბაძემ 1 მ., ნიკო ინჯიამ 1 მ., სტეფანე ტაბიძემ 1 მ., იაკობ ცაძქალამახიძემ 1 მ., ლუკა მენაბდემ 50 კ., სამსონ ჭოჭუამ 1 მ., ისაკ ზარქუავამ 50 კ., პავლე ქუთათელაძემ 50 კ. ალკივიად და იანნოპულომ 2 მ., ესტატე გიგაშვილმა 1 მ., როსტომ ქარიამ 50 კ., სოლომონ უჩამეიშვილმა 50 კ., ალექსი განიძემ 50 კ., განო მამფორიამ 1 მ., კოსტა კაუხჩევმა 1 მ., ანტონ გოჩოლეიშვილმა 1 მ., ფედორ გრიშინმა 1 მ., მიხეილ მაჭარაძემ 50 კ., ანტონ ახობაძემ 50 კ., სანდრო გუგუშვილმა 1 მ., პეტრე წულაიამ 1 მ., ვასილ თოფურიძემ 1 მ., დიმიტრი ცაკაშვილმა 1 მ., ფილიპე კუკულაძემ 50 კ., ბეგლარ ქობალავამ 50 კ., კოსტან. რუხაძემ 3 მ., კოსტა კეჟერაძემ 1 მ., სულ 34 მან.

1892 წელი 29 დეკემბერი

ქ. ფოთი

კონსტანტინე იაგორის ძე რუხაძე

## გამოსადეგი ცნობანი

21 იანვარს 1893 წელს, 12 საათზედ, ტფილისის საგუბერნიო საპატიმროთა სამზრუნველო კომიტეტის მიერ დანიშნულია ვაჭრობა და გაცემა იჯარით ყოველივე, რაც საჭიროა საპატიმროთათვის: ხორბალი, ფქვილი, პური, ხორცი და სხვა სანოვაგე, ნავთი პირველის ხარისხისა, კრეჭა-პარსვა პატიმართა და სხვა და სხვა. დაწვრილებით პირობათა გაგება შეიძლება ზემოხსენებულ კომიტეტის „კანცელარიაში" დილის 10—12 საათამდე.

## დეპეშა

5 იანვარი

**პარიჟი.** პალატაში შეეკითხნენ სამინისტროს ეგვიპტეში მომხდარ საქმეთა შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ უკვე შევატყობინე ლონდონში ჩვენს ელჩსა და ვსთხოვე, მიჰმართოს ინგლისის მთავრობას და მოსთხოვოს საბუთები იმ შევიწროების გამო, რომელიც მთავრობამ ქედივს მიაყენა. მინისტრმა დასძინა, რომ საფრანგეთის მთავრობა ეცდება დიდის გულდადებით თვალი ადევნოს ამ საქმეს, რათა ინგლისმა ხელი არ შეუშალოს ეგვიპტეს ავტონომიას. ამ სიტყვებს ხანგრძლივი ტაშის ცემა მოჰყვა.

პოლიციის კომისარმა ოფიცერს

ბანკში 300 ჩეკი აღმოაჩინა, რომელნიც არტონმა მისცა სხვა-და-სხვა კაცებს.

პანამის საქმე: საბუთის ქაღალდების გასინჯვა გათავდა. მთავარმა ვექილმა სთქვა, დამნაშავენი სასტიკად უნდა დავსაჯოთო; ხვალ კამათობა დაიწყება.

**ბალლე.** (ზაალზედ) ნიტლებენის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში ამ უკანასკნელ დროს გადამდები სენი გაჩნდა; ამბობენ, ეს სენი ხოლერა არისო. აქამდე ხოლერით ავად გახდა 45, გარდაიცვალა 15 კაცი.

**ბრისტოლი.** ბენ-ტილეტის საგრაფოს მუშათა მეთაური ოლდერმენი სამართალში მისცეს, იმისთვის რომ ბრისტოლის მუშებს ასაჯანყებლად აქეზებდა.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,88 | 7,92 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 157³/₄ | 158¹/₂ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 245³/₄ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221¹/₂ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 192¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¹/₂ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 99⁷/₈ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102¹/₂ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 99⁷/₈ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98³/₄ |

## ივერიის ფოსტა

**დ. ა. ს.—ს ვ. ე—ას.** თქვენი წერილი ვერ დავბეჭდეთ, რადგან მის მიღებამდე მოგვივიდა საკუთარის კორესპონდენტისაგან იგივე ამბავი და ის იყო კიდეც მოხსენებული ჩვენს გაზეთში.

**ს. გ—ს თან ხანს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება, რადგან ლექსისა სრულიად არა ეტყობა-რა: არც რითმა, არც ქართული, არც აზრი. პოეზიისა ხომ ნიშან-წყალიც არ ამჩნევია.

ბათუმს, **ბ-ნს ფ. ლ. ქ—შვილს.** ჯერ შესწირეთ და მერე გამოცხადდება.


# განცხადებანი

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

## მევენახობა

თხზულება **თ. ლ. ე. ჯორჯაძისა**, ფასი 60 კაპ.

იქვე ისყიდება **თხზულება თ. ი. ჭავჭავაძისა**, მეოთხე ტომი, ფასი 1 მან 60 კაპ. (5—4)

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ
ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНАГО ВРАЧА
АДЕЛЬГЕЙМЪ
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ
ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

(22—5)

**მარიამ ივანეს ასული ფედოროვისა, ალექსანდრე, ნიკოლოზ და კონსტანტინე რომანოზის ძენი ფედოროვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო დანარჩენნი—ძმისა თვისისა **ივანე რომანოზის ძის ფედოროვისას.** წირვა გადახდილ იქმნება კორპუსის ეკკლესიაში შაბათს, 9 დეკემბერს. (2—2)

# იმლევა ქირით სარდაფი

**იანვრის 15-დგან 1893 წ.**

სოლოლაკის ქუჩაზე № 5 სახლი გურგენოვისა. ეს სარდაფი ქირით ჰქონდა არტემ ტერ-არუთინოვს. ორი დიდი სარდაფია შეერთებული ერთად. ფასი შეუძლიანთ შეიტყონ იაკობ ივანეს ძე გურგენოვთან თამამშოვის ქარვასლაში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

*Открыта подписка на 1893 годъ*

НА ГАЗЕТУ

# „КАСПІЙ“

Въ 1893 году „Каспій“ будетъ выходить въ Баку ежедневно, кромѣ дней послѣпраздничныхъ, по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Колоссальный ростъ бакинской нефтяной промышлености за послѣдніе годы выдвинулъ ее такъ въ средѣ другихъ государственно-экономическихъ факторовъ, что бакинская газета, правильно понимающая свою роль и задачи, не должна оставаться чисто-мѣстнымъ органомъ ни по контингенту читателей, ни по выполненію своей программы. Интересы нефтяной промышлености находятся съ такой тѣсной связи съ другими обще-государственными, что игнорировать послѣдніе значитъ оставлять пробѣлъ въ познаваніи и толкованіи первыхъ, и наоборотъ. Вотъ почему „Каспій“, издающійся въ центрѣ нефтяной промышленности, отводя много мѣста ей въ спеціальномъ нефтяномъ отдѣлѣ, въ то-же время въ остальныхъ рубрикахъ по возможности выполняетъ обще-газетную программу. Сообразно съ этимъ, наша газета изъ маленькаго мѣстнаго листка, какимъ она была 12 л. тому назадъ, въ послѣднее время и по своему формату преобразовалась и увеличена до 6 колонъ. Газетный матеріалъ распредѣляется по слѣдуюшимъ рубрикамъ: Телеграммы, „Общія извѣстія“, „Обзоръ печати“, „Мѣстная лѣтопись“, «По Кавказу и Закаспію“, „По Россіи“, «По чужимъ краямъ“, „Нефтяной отдѣлъ“, фельетоны—общественной жизни, беллетристическіе, журнальное обозрѣніе, „Судебная хроника, биржевая хроника и руководящія статьи по всѣмъ перечисленнымъ отдѣламъ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**

| Съ доставкой: | | Съ пересылкой: | |
|---|---|---|---|
| На годъ. . . . . | 7 руб. — коп. | На годъ. . . . . | 8 руб. 50 коп. |
| „ полгода. . . . | 4 „ — „ | „ полгода. . . . | 5 » — „ |
| „ 3 мѣсяца . . . | 2 „ 50 » | 3 мѣсяца. . . . | 3 „ — „ |
| „ мѣсвцъ. . . . | 1 „ — „ | 1 мѣсяцъ, . . . . | 1 „ 50 „ |

З а г р а н и ц у:

На годъ . . . . 13 руб.
„ полгода . . . . 7 „

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 руб. городскими и 4 руб. 50 коп. иногородными подписчиками; затѣмъ 15-го февраля—2 р. и 15-го марта—2 руб.

Подписка принимается: въ Б а к у—въ конторѣ газеты, Армянская улица, домъ Красильникова; въ Т и ф л и с ѣ—въ „Центральной книжной торговлѣ“ и въ книжномъ мигазинѣ Хиддекеля; въ К у т а и с ѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ; съ Б а т у м ѣ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе; въ Е л и з а в е т о п о л ѣ—у Г. А. Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами; съ М о с к в ѣ—въ конторѣ Мѣтцль и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинцій.

Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Баку, въ редакцію газеты „Каспій“.

ВЪ 1893 ГОДУ

# „ОДЕССКІЙ ЛИСТОКЪ“

ГАЗЕТА

политическая, литературная и экономическая

БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ

## ЕЖЕДНЕВНО

ВЪ ТАКОМЪ-ЖЕ БОЛЬШОМЪ ФОРМАТѢ, КАКЪ и ВЪ ПРЕДЫДУЩІЕ ГОДЫ

Открывая подписку на „ОДЕССКІЙ ЛИСТОКЪ“ на будущій годъ, мы считаемъ излишнимъ давать какія-либо заманчивыя и—въ большинствѣ случаевъ—неисполнимыя обѣщанія. Дѣло наше, полагаемъ, само за себя говоритъ. Постоянные читатели „Одесскаго Листка“, на глазахъ которыхъ происходилъ его постепенный ростъ, согласятся, что мы не щадили до сихъ поръ никакихъ средствъ и трудовъ, чтобы сдѣлать нашу газету отзывчивой, интересной, живой м разнообразной по содержанію. Мы, какъ и раньше, въ теченіе 19-ти-лѣтняго существованія „Одесскаго Листка“ подъ нашей редакціей, будемъ неуклонно идти по пути улучшеній изданія, держась строго прежняго направленія, которое хорошо знакомо читающей публикѣ.

ВНИМАНІЕ.

Желая предоставить нашимъ подписчикамъ возможность БЕЗПЛАТНО знакомиться съ русской и иностранной прессой, мы, не останавливаясь предъ громадными затратами, открыли при редакціи КАБИНЕТЪ ДЛЯ ЧТЕНІЯ, въ которомъ въ 1893 году будетъ получаться **ДО 50 НАЗВАНІЙ** русскихъ, славянскихъ, польскихъ, французскихъ, нѣмецкихъ, итальянскихъ, англійскихъ, испанскихъ, греческихъ, грузинскихъ и другихъ газетъ и журналовъ, спеціальныя научныя изданія, а равно новые романы, повѣсти, разсказы, какъ русскіе, такъ и иностранные.

Подписная цѣна газеты съ правомъ безплатнаго чтенія всѣхъ русскихъ и иностранныхъ газетъ, получаемыхъ къ кабинетѣ для чтенія, въ городѣ съ доставкою на домъ: 10 р. въ годъ, 6 р. полгода, 3 р. 50 к. три мѣсяца, 1 р. 20 к. въ мѣсяцъ. На города съ ежедневною высылкою по почтѣ: 12 р. въ годъ, 7 р. полгода, 3 р. 80 к. три мѣсяца, 1 р. 30 к. въ мѣсяцъ.

Контора редакціи: въ Одессѣ, по Ланжероновской улицѣ, въ домѣ редактора-издателя В. В. Навроцкаго, рядомъ съ Городскимъ театромъ.

Редакторъ-издатель В. В. НАВРОЦКІЙ.

Годъ X. 1893 Годъ X.

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ

КАРССКОЙ ОБЛАСТИ

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

# „КАРСЪ“

НА БУДУЩІЙ 1893 ГОДЪ.

Газета „Карсъ“ въ 1893 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

**съ доставкою и пересылкою три рубля.**

Подписка принимается въ редакціи газеты „Карсъ“, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета «Карсъ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея устройству.


Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Января 1893 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.